სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/45

ქ. თბილისი 29 აპრილი 2026 წ.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 46-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მაქსიმალური რაოდენობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 20 თებერვლის №20/ნ ბრძანების, უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათების, ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმების და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს სამშენებლო, ენერგეტიკის, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების, სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ბიზნესტექნოლოგიების, სოციალურ მეცნიერებათა და აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები. (დანართი).
2. ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული პროგრამები ამოქმედდეს 2025-2026 სასწავლო წლიდან ჩარიცხული სტუდენტებისათვის.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს 2026-2027 სასწავლო წლიდან.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 აპრილის 01-05-04/45
დადგენილების დანართი

სამშენებლო ფაკულტეტი

1. მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი (0788)

ენერგეტიკის ფაკულტეტი

1. საინჟინრო მენეჯმენტი (0413)

სამთო - გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი

1. საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა (1022)
2. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები (რუსული) (0724)
3. მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა (0413)
4. მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება (0521)
5. ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა (0712)
6. მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი (1015)

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი

1. სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა (0413)
2. ტრანსპორტის ინჟინერია (0716)
3. მეტალურგია (0715)

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

1. მოდის დიზაინის ტექნოლოგიები (0212)

ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1. ინფორმატიკა (0613)
2. ინფორმატიკა (რუსული) (0613)
3. მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი (0714)
4. კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიები (0612)
5. ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები (0714)

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

1. ბიზნესის ადმინისტრირება (0413)
2. ბიზნესის ადმინისტრირება (რუსული) (0413)
3. სასტუმრო მომსახურება (1015)
4. საჯარო მმართველობა (0413)
5. საზოგადოებასთან ურთიერთობა (0414)

სამართალისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

1. საერთაშორისო ურთიერთობები (0312)
2. საერთაშორისო ურთიერთობები (რუსული) (0312)
3. ევროპისმცოდნეობა (0388)

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ჟურნალისტიკა (0321)
2. ჟურნალისტიკა (რუსული) (0321)
3. ეკონომიკა (0311)
4. არქეოლოგია (0222)

აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი

1. აგრარული ტექნოლოგიები (0811)
2. აგრონომია (0811)
3. მევენახეობა და ენოლოგია (0888)
4. მეცხოველეობა (0811)
5. სატყეო საქმე (0821)
6. ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია (0711)
7. გარემოსდაცვითი ინჟინერია (0712)
8. ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზა (0722)